სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

65614293637719

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190855452

რეგისტრაციის თარიღი

20.07.2019 წ

ნოტარიუსი: ლუიზა ცხადაძე
მისამართი: ქალაქი თბილისი, ფიროსმანის ქუჩა #23
ტელეფონი: 2943164 0790943164

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი

საქართველო

დღეს, ორიათას ცხრამეტი წლის წლის ოც ივლისს მე, საქართველოს ნოტარიუსს ლუიზა ცხადაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი ფიროსმანის ქუჩა №23, პირველი სართული, მომმართა საქართველოს მოქალაქემ ბატონმა დავით ყანჩაველმა, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს კონკორდი-ს საიდენტიფიკაციო ნომერი: 226567685 დირექტორი და საზოგადოების სახელით სურს შეადგინოს რწმუნებულება/მინდობილობა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს შპს ბაუმა-ს. მე დავადგინე დავით ყანჩაველის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ბატონმა დავით ყანჩაველმა (დაბადებული 24.11.1964 წ. დაბადების ადგილი: საქართველო, ქუთაისი, მისამართი: ქალაქი თბილისი ტ. ტაბიძის ქ. N100, პირადობის მოწმობის სერია 18IC40001, პირადი №01008012875, მოწმობის გამცემი ორგანო: იუსტიციის სამინისტრო, გაცემული 16.01.2019 წელს) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება თანახმად ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18039418, 16/04/2018 17:16:23 გაცემული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და დავრწმუნდი რომ ის ნამდვილად უფლებამოსილი იყო წარმოედგინა შპს კონკორდი საიდენტიფიკაციო ნომერი: 226567685 და მისი სახელით გაეცა წინამდებარე მინდობილობა. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, გარიგების შინაარსი და შევადგინე რწმუნებულება/მინდობილობა, რომელიც წავაკითხე მიმნდობის გამცემის წარმომადგენელს. მან განაცხადა, რომ წინამდებარე რწმუნებულება/მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ რწმუნებულება/მინდობილობას:

რწმუნებულება

ორიათას ცხრამეტი წლის წლის ოც ივლისს, შპს კონკორდი საიდენტიფიკაციო ნომერი: 226567685 რომელსაც წინამდებარე მინდობილობაში წარმოადგენს ამ საზოგადოების დირექტორი დავით ყანჩაველი /რომლის საპასპორტო მონაცემები ზემოთ არის აღნიშნული/ რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც მარწმუნებელი, შპს ბაუმა-ს (საიდენტიფიკაციო კოდი 405145579) დირექტორს - გიორგი ფანოზიშვილს, (დაბადებული: 15.10.1985 წელს, დაბადების ადგილი: საქართველო, თბილისი, რეგისტრირებული მისამართზე: ფოთი აკაკის ქ. N96, პირადი: №42001011246) რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც რწმუნებული, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებელი შპს კონკორდი საიდენტიფიკაციო ნომერი: 226567685 წარმოადგინოს ყველა სახელმწიფო და არა სახელმწიფო დაწესებულებებში და ორგანიზაციებში, ადგილობრივი მუნიციპალურ ორგანოებში: მერიაში, გამგეობაში, საკრებულოში და მათ დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში: არქიტექტურის, იურიდიული, საზედამხედველო, სანებართვო, ურბანული განვითარების და მერიის დაქვემდებარებულ სამართლებრივ ორგანოებში, აწარმოოს რეკლამის განთავსება, განახორციელოს ბანერის და ფასადის შეცლის უფლება, განსაზღვროს ფერი, შეცვალოს ფერი, მოახდინოს ფასადის ცვლილება, წარადგინოს განცხადებები, ასევე სხვა განცხადებები, მიიღოს და გადასცეს დოკუმენტაცია მათ შორის: ცნობები, ამონაწერები, მოწმობები, ასლები, დუბლიკატები, ზეპირი და წერილობითი ინფორმაციები და სხვა აუცილებელი დოკუმენტები, მიიღოს ნებართვა, შეასრულოს ყველა სხვა მოქმედებები, რაც აუცილებელია წინამდებარე უფლებამოსილების განსახორციელებლად. გადაიხადოს მოსაკრებლები, გადასახადები და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც ამ დავალების შესრულებასთან არის დაკავშირებული.

2. რწმუნებულება გაცემულია ერთი /01/ წლის ვადით.

3. რწმუნებულს უფლება აქვს აღნიშნული რწმუნებულება სრულად გადასცეს სხვა პირს შემდგომი გადანდობის უფლებით.

4. რწმუნებულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ–ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით.

5. რწმუნებულება შედგენილია სამ (03) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ქართულ ენაზე. რწმუნებულების ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ლუიზა ცხადაძის სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს.

6. მარწმუნებელმა გადაიხადა სანოტარო მომსახურების საზღაური: ათი ლარი 00 თეთრი, /10.00/ საფუძველი: საქართველოს მთავრობის დადგენილება №507, 29 დეკემბერი 2011 წლის ''სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის დამტკიცების შესახებ" მუხლი 31.7 და ასევე 39.1 მუხლის თანახმად სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2.00 (ორი) ლარი.

7. შენიშვნა: 1. ამ სანოტარო აქტის იმ ეგზემპლარს რომნელიც ინახება სანოტარო ბიუროში აქვს დანართი 01 /ერთი/ დოკუმენტი: ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18039418, 16/04/2018 17:16:23 გაცემული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.

მარწმუნებელი: შპს კონკორდი საიდენტიფიკაციო ნომერი: 226567685

დირექტორი: დავით ყანჩაველი /დავით ყანჩაველი/

ნოტარიუსი: /ლუიზა ცხადაძე/

საქართველო. ნოტარიუსი ლუიზა ცხადაძე GEORGIA. NOTARY LUIZA TSKHADADZE * 01013007817 *